

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს სტუდენტებს, მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს!
განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს, ეს არის მათთვის ნამდვილად დაუვიწყარი დღე, რომელიც მუდამ ემახსოვრებათ. ჩემო ძვირფასებო, მთელი გულით გილოცავთ, გისურვებთ წარმატებებს და ნათელ მომავალს. ნაყოფიერი და ნიჭიერების წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისთვის!!!
პატივისცემით
**ზურაბ ნასარაია**
გურიის გუბერნატორი



სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს!
განსაკუთრებული სიყვარულით იმ პატარებს, რომლებიც პირველად შეაღებენ სკოლის კარს. სტუდენტებს, რომლებისთვისაც იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი. გისურვებთ წარმატებულ, ნაყოფიერ და მშვიდობიან სასწავლო წელს. განათლება ეს არის ყველაზე მთავარი პრიორიტეტი, განათლებული მომავალი თაობა კი ჩვენი ქვეყნის წარმატებული ხვალინდელი დღეა.
პატივისცემით,
**დავით დარჩია.**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ძვირფასო პედაგოგებო, მოსწავლეებო, მშობლებო,
გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებით ვულოცავთ პირველკლასელებს და სტუდენტებს, მუდამ გქონოდეთ მიღებული ცოდნის სამომავლოდ გამოყენების შესაძლებლობა!
**კონსტანტინე შარაშენიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 35 (10280) 17 სექტემბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.





მაღაზია «ნეპტუნი» გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.
გთავაზობთ საუკეთესო ნატურალურ პროდუქტებს!
მისამართი. ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15 (რ)


## დაინიშნა თუ არა საუბნო - საარჩევნო კომისიების წევრები პარტიული ნიშნით

**ალიონი.** 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ახალ პრეზიდენტს აირჩევს. თუ როგორ ემზადება არჩევნებისთვის ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისია, ამაზე საოლქო კომისიის თავმჯდომარე **ზვიად თენიეშვილ**ს ვესაუბრეთ:

–ოზურგეთის საარჩევნო ოლქი 62 საარჩევნო უბანს მოიცავს. ამომრჩეველთა რაოდენობა კი 61 960 ადამიანია. 2006 წლიდან კომისიის თავმჯდომარე ვარ. ამ ხნის მანძილზე შეიცვალა ხელისუფლება, ჩემთვის ეს მე-14 არჩევნებია. მაქვს საარჩევნო დიდი გამცდილება–გვითხრა კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილმა.

**– რა ეტაპზეა ამჟამად კომისიების დაკომპლექტების პროცესი?**

–11 სექტემბერს საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომა გვქონდა და 62 საარჩევნო უბანზე 6-6 კომისიის წევრი დავნიშნეთ, სულ 372 კაცი. დანარჩებ წევრებს პოლიტიკური სუბიექტები დანიშნავენ 18 სექტემბრამდე.



**–როგორ მიმდინარეობდა კომისიის წევრების შერჩევის პროცესი. საოლქო კომისიის წევრმა ნაციონალური მოძრაობიდან მზია წერეთელმა კო-მისიის სხდომაზე პრეტენზია გამოთქვა, რომ კომისიის წევრები პარტიული ნიშნით დაინიშნენ..**

–ვერ დაგეთანხმებით. პირიქით, საუბნო-საარჩევნო კომისიები გამოცდილი და პროფესიონალი კადრები შეირჩა.

საუბნო-საარჩევნო კომისიებში დასანიშნი 372 წევრიდან 322 წევრი დაინიშნა ისეთი, რომლებიც არაერთგზის ყოფილა დანიშნული საარჩევნო უბანში, მათ პროფესიონალური გამოცდილება აქვთ. 50 ახალი წევრი კი საზაფხულო სკოლის 98 მოსწავლიდან შევარჩიეთ, რომლებსაც გაიარეს ადმინისტრაციული კურსები. არ იქნება უბანი, სა-დაც ამჟამად დანიშნული 6 წევრიდან, მინიმუმ 5 ექნება საარჩევნო გამოცდილება, საბოლოოდ დაკომპლექტებისას 10-11 წევრი მაინც იქნება საა-რჩევნო გამოცდილების მქო-ნე.

უბნების საბოლო დაკომპლექტების შემდეგ აირჩევა კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# გურიანთის მუზეუმის შენობა გასაყიდად აუქციონზე გააქვთ



**ალიონი.** გასულ პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა განიხილეს.

საპრივატიზაციო ნუსხაში 40 სასოფლო მიწის ფართობი და 3 არასასასოფლო მიწის ნაკვეთია შეტანილი შენობა-ნაგებობით. სამთავე შენობა სოფ. გურიანთაშია.

საკითხის განხილვისას დეპუტატმა **ლევან მგელაძემ** დასვა კითხვა, ხომ არ იყო გასაყიდ ობიექტების სიაში გურიანთის მუზეუმის შენობა, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. მუნიციპალიტეტის მერიის განმარტება ის იყო, რომ მუზეუმს კოლმეურნეობის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ფლიგელში გადაიყვანდნენ.

ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა **გოგა ტრაპაიძემ** გაზეთ „ალიონთან“ შემდეგი განმარტება გააკეთა:

*–თავად ხედავთ რამდენი პრობლემა გვაქვს მოძალებული. საშიშროების ქვეშაა ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატების ნაწილი, რადგან მუზეუმის პირველი სართულის ის მხარე, სადაც ექსპონატებია დაცული, შენობის გარედან მიწითაა მოზვინული და სინესტეს ვერ ვაკავებთ. მუზეუმის რემონტის ახლა პროექტი მუშავდება, მაგრამ პროექტის ავტორები ჩვენს წინადადებას ამ თემაზე რატომღაც არ ითვალისწინებენ.*

*გურიანთის მუზეუმის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან, კოტე შარაშენიძესთან გვქონდა საუბარი. შენობის პირველი სართული კერძო პირს ეკუთვნის. მეორე სართულზე კი მუზეუმია. შენობაში წყალი ჩამოდის. მუნიციპალიტეტის მერის აზრით მუზეუმი ყოფილი კოლმეურნეობის ერთ-ერთ ფლიგელში უნდა გადაიტანოთ. იგი ფლიგელის გარემონტებას დაგვპირდა.*

მუზეუმის შენობის საპრივატიზაციო სიაში შეყვანას არასწორად მიიჩნევს სოფელ გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატი **მაია ზოიძე.**

*– შენობის პირველი სართული კერძო პირს, სიკო მეხუზლას ეკუთვნის. სოფლის მუზეუმი კბილებით შევინარჩუნეთ და მისი „დასაწყობების“ პროცესს ვერ შევეგუებით. არაერთხელ მქონდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან საუბარი, რომ არ შეიძლებოდა ობიექტი საპრივატიზაციო ნუსხაში მანამ შეეტანათ, სანამ ალტერნატიული ფართი არ გარემონტდებოდა და მუზეუმი გადავიდოდა.მაინც გაიტანეს საკრებულოზე. მთელი სოფელი დადგება ფეხზე, მუზეუმს არ დავთმობთ – გვითხრა მაია ზოიძემ.*

### უფასო პოლიტიკური რეკლამა

# თემურ შაშიაშვილი ოზურგეთში



**ალიონი.** გასულ კვირას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი **თემურ შაშიაშვილი** ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბა-ღში“ ამომრჩევლებს შეხვდა. აქვე მოხდა კანდიდატის მხარდამჭერთა რეგისტრაცია. თემურ შაშიაშვილი გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა:

„პრეზიდენტის არჩევნებში შესაძლოა ვინმეს კანდიდატობა გაგიკვირდეთ, მაგრამ მსოფლიოში გუბერნატოროს კანდიდატობა არ უკვირთ. ამერიკაში 20 წელი მაინც თუ არ იცნობს საზოგადოება პიროვნებას, მას არ აირჩევენ; ჩინეთი იმითაა ძლიერი, რომ 60 წელს გადაცილებულ ადამიანს ანდობენ დიდ თანამდებობას; იაპონიაც ამ გზით მიდის; გერმანიაში ხედავთ ანგელა მერკელს. ჩვენ არ შეიძლება გამოცდილ ადამიანს 20 წლით შეუმცირო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასაკი და გამოუცდელ ადამიანებს 20 წლით ადრე მივცეთ ამის საშუალება. მე ერთხელ ვთქვი, მიხეილ ჭკუასელი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პიროვნება იყო და იცნობთ აქ მას, მაგრამ შევარდნაძემ იგი 15 წლით ადრე დანიშნა მაღალ თანამდებობაზე და იცით სადაა იგი. დაკარგეს ერთი კარგი პიროვნება.

დღეს წყალგამყოფია. ხან ქართული ძალა იმარჯვებს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე, ხან ანტიქა-რთული ძალები. მე მივმართავ გურიას, რომ ჩემთვის ანტიქართულია ყველა ის ძალა, რომელიც იმართება გარედან და რომელიც ფინანსდება ქვეყნის გარედან. ისინი ემსახურებიან სხვა ქვეყნის ინტერესებს. მე მათ დებატებში ვიწვევ.

ქუთაისის უნივერსიტეტში უგამოცდოთ ვიღებდით და უფასოდ სწავლობდნენ სტუ-დენტები, 500 დოლარით ვაფინანსებდით თითოეულ სტუდენტს; მასწავლებლები ქუთაისში ხელფასზე ერთი ლარით მეტს იღებდნენ, ვიდრე ქალაქის მერი; ჩვენ ახალგაზრდების სწავლასთან, დასაქმებასთან, პენსიონერების პენსიასთან დაკავშირებით ჩვენს ხედვებს მთელ საქართველოს გავაცნობთ. მე რასაც ვისაუბრებ, მაქვს გაკეთებული, ხოლო სხვა კანდიდატები პირდებიან მხოლოდ ხალხს. რაც არ გამიკეთებია, იმაზე არ ვსაუბრობ“–განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

# აზიური ფაროსანას წინააღმდეგ

13 სექტემბერს, გურიის გუბერნატორის **ზურაბ ნასარაიას** ხელმძღვანელობით სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სათათბირო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ განხორცი-ელებული ღონისძიებების ეფექტიანობა და დამატებითი საჭიროებები; მიმდინარე და 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სხდომას გუბერნატორის მოადგილეები, მუნიციპალიტეტების წარმომა-დგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირები და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



# პირველი ელექტრონული პეტიცია

### მოსახლეობა იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის, ასევე სპორტული მოედნის მოწყობას ითხოვს

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელის **ნანა თავდგუმაძის** ინფორმაციით, საკრებულოში შევიდა პირველი ელექტრონული პეტიცია, რომელიც მომზადებულია ქალაქ ოზურგეთში იაკობ შემოქმედელსა და მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები მოსასახლეობის მიერ. მოსახლეობა იაკობ შემოქმედელის №45-ში მდებარე რაიკავშირის შენობისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურისა და დასვენების პარკის, ასევე სპორტული მოედნის მოწყობას ითხოვს.

„ქალაქ ოზურგეთში, ი. შემოქმედელის ქუჩა №45-ში მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყოფილი „რაიკავშირის“ შენობა, 9605.00 კვ.მ. საერთო ფართის მოცულობის მიმდებარე ტერიტორიით (ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო). აღნიშნული შენობა უკვე წლებია უფუნქციოდაა მიტოვებული, არის მთლიანად ამორტიზებული, საეჭვო პირთა თავშესაფრად გადაქცეული და წარმოადგენს საშიშ ზონას საზოგადოებრივი უსაფრთხოების მხრივ, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთათვის, ისე ქუჩაზე გზად მიმავალი ნებისმიერი ადამიანისათვის. შენობის ფაქტობრივი მდგომარეობა ასევე საფრთხეს უქმნის მის შიგნით დროდადრო მოთამაშე ბავშვების სიცოცხლეს. გარდა ამისა, მთლიანად მოუვლელია ყოფილი რაიკავშირის შენობის მიმდებარე 9605.00 კვ.მ. ფართის ტერიტორიაც, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ანტისანიტარიისა და ქვეწარმავლების ბუდედაა გადაქცეული, რაც დამატებით მომეტებული საფრთხის რისკის ქვეშ აყენებს ახლომახლო მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ნიშანდობლივი და საგულისხმოა, რომ იაკობ შემოქმედელის ქუჩა არის ქალაქ ოზურგეთში სიდიდით მეორე ქუჩა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ ქუჩას წარმოადგენს; თუმცა, მიუხედავად ამ გარემოებისა, აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრებ ბავშვებს, ფაქტობრივად, არც ერთი დასასვენებელი სკვერი (პარკი) თუ სპორტული მოედანი არ აქვთ, სადაც მათ (და არა მარტო მათ) შესაძლებლობა ექნებათ, დაისვენონ და შინაარსიანად გაატარონ თავისუფალი დრო. შესაბამისად, მიზანშეწონილია, თუკი, ყოფილი რაიკავშირის შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ადგილას მოეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი (სკვერი) და სპორტული მოედანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მისგან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვთ:

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დაიწყოს სათანადო წარმოება ქალაქ ოზურგეთში, ი. შემოქმედელის ქუჩა №45-ში მდებარე ყოფილი რაიკავშირის შენობისა და მისი მიმდებარე 9605.00 კვ.მ. ფართის ტერიტორიის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) გადმოსაცემად, ქვემოთ (მოთხოვნის მე-2 პუნქტში) მითითებული კონკრეტული მიზნით;

2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ქალაქ ოზურგეთში, ი. შემოქმედელის ქუჩა №45-ში მდებარე ყოფილი რაიკავშირის შენობისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების ნარჩენების დემონტაჟი, ტერიტორიის სრული გასუფთავება და მის ადგილას კულტურისა და დასვენების პარკის (სკვერის) და სპორტული მოედნის მოწყობა;

3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყოს წინამდებარე პეტიციაში დასმული საკითხების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად შესწავლა, განხილვა და სათანადო რეაგირება (გადაწყვეტა)“ - აღნიშნულია პეტიციაში.

# ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი: „ჩემი ერის ღალატს არავის არ ვაპატიებ, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს“.

## „თუ სახელმწიფო გადაწყვეტს ნარკოტიკების მოყვანას, იცოდეთ ეკლესიაც დაგიპირისპირდებათ და ხალხიც.“



12 სექტემბერს, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციაზე –„ნარკოპოლიტიკა საქართველოში – გამოწვევები და საერთაშორისო გამოცდილება“, **–ბოდბელმა ეპისკოპოსმა, მეუფე იოსებმა** განაცხადა:

*„ალბათ ყველას აინტერესებს ეკლესიის პოზიცია მიმდინარე საკითხებზე. აქამდე რაც იყო, საკონსტიტუციო სასამართლომ რა გადაწყვეტილებაც მიიღო, ჩემი ვარაუდი ის არის, რომ გუშინ რაც გახმოვანდა, პლანტაციების თემა, ე.ი. წინასწარ იყო განსაზღვრული, თუ რისთვის მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება.*

*მინდა იცოდეთ, რომ ეკლესია ამას არ შეეგუება, არავის არ შევეგუებით. ეს არის ბრძოლა ქართველი ერის წინააღმდეგ. ჩვენ დავიცავთ ქართველ ერს. მინდა იცოდეთ, რომ არასდროს არ ყოფილა, საბჭოთა კავშირის დროიდან თუ რამე იყო საქართველოში, ყველგან ვიყავით წინა ხაზზე, თუმცა შეიძლება სხვებივით არ ვჩანდი და დღესაც არ ვაპირებ დამალვას. დავდგებით იქ, სადაც სჭირდება ხალხს. რომ ფიქრობენ ეხლა, რომ ეკონომიკა გამოვიყვანოთ ამით, იქნებ ყაყაჩოც დაგვერგო, ჰეროინის წარმოებაც გაგვეკეთებინა და ჰეროინის ფულებიც მოგვეზიდა საქართველოში და მილიარდები იქიდანაც შემოგვივიდოდა. გვინდა კი ასე? ჯობია გავიჭირვოთ. სადაც ამდენი გავიჭირვეთ, ამდენი წელია გაჭირვებაში ვცხოვრობთ, კიდევ გავიჭირვოთ და ეკონომიკა სხვა მხრივ განვავითაროთ.*

*ეს ადამიანები თუ ფიქრობენ ეროვნულ უსაფრთხოებაზე? ავლანეთს რა დამართა ნარკოტიკებმა, ვხედავთ. იმ სამკუთხედს, საერთოდ, იმ ქვეყნებში, კოლუმბიაში რა ხდება და აქ ვის უნდა ვენდოთ? რომელი ძალოვანია ისეთი? ან ჯარი უნდა გვყავდეს ძლიერი, - სამწუხაროდ, არ გვყავს ძლიერი ჯარი. საზღვრები ვერ დაგვიცავს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ გარეჯაში ვიყავი, სანამ მონასტერში წავიდოდი, მაშინ ჩვენი უდაბნოს მხარეს, და დღეს ჩვენს ტერიტორიაზე, ოფიციალურად ჩვენს ტერიტორიაზე, სხვა ქვეყნის მესაზღვრეები დგანან. ეს ვერ დაგვიცავს და იმას დავიცავთ, პლანტაციებს დავიცავთ, სადაც მილიარდის საქონელი იქნება? უცხოეთის ქვეყნები და ჩვენთან ახლოში მყოფი რუსის ჯარი არ შეეცდება, რომ ეს ნადავლი ხელში ჩაიგდოს? მოდით, შევხედოთ, რა, ეროვნულ უსაფრთხოებაზე თუ იფიქრა ამ ხალხმა? ფულის დათვლა რომ იციან, ხომ, იფიქრონ ეროვნულ უსაფრთხოებაზეც - როგორც ადამიანებზე, ისე ტერიტორიაზე. როდესაც შევალთ ნატოში და ევროკავშირში და ძლიერი დასაყრდენი გვეყოლება, მერე შეიძლება რაღაცეებზე იფიქრო ადამიანმა. დღეს, როდესაც ასე გაჭირვებული ხარ და მარტო, ომის შემთხვევაში მარტო სიტყვას შეგვაშველებენ და სხვას არა, და არავინ არ იფიქროს, რომ ჩვენს გამო დიდი ქვეყნები ერთმანეთს ომს გამოუცხადებენ. როგორღაც უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან, მაგრამ არა ნარკოტიკებით.*

*ეკლესია დიდი ხანია დუმდა. ალბათ ბევრმა იფიქრა, რომ რაღაც პროცესები რომ მიმდინარეობდა, დავსუსტდით და თუ აინტერესებს ვინმეს ჩვენი ძალა, არავის არ ვემუქრები, ნახავენ აუცილებლად ჩვენს ძალას. ბოდიშს ვიხდი ასეთი საუბრისთვის, მაგრამ ჩემი ერის ღალატს არავის არ ვაპატიებ, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს. მაგი ყველამ იცოდეს.*

*დიდი მადლობა და შენდობას ვითხოვ.“*

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის გამოსვლისას, რომელიც მღვდელმთავრებს არწმუნებდა, რომ მარიხუანას კულტივაცია და ექსპორტზე გატანა საფრთხის შემცველი არ არის, მეუფე იაკობმა რეპლიკის სახით განაცხადა:

*„თუ სახელმწიფო გადაწყვეტს ნარკოტიკების მოყვანას, პლანტაციები, თუნდაც სამედიცინო მოხმარებისთვის თუ გაკეთდა, იცოდეთ ეკლესიაც დაგიპირისპირდებათ და ხალხიც დაგიპირისპირდებათ, - მაგი იცოდეთ აუცილებლად!“*

***

იმავე დღეს ამ თემაზე სოციალურ ქსელში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, **მეუფე იოსებმა** შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართველი ერის განადგურება, ნარკოტიკების ლეგალიზაციით, საქართველოს ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყნად ქცევით,ტრადიციების უარყოფით, ჰომოსექსუალიზმის დაკანონებით,სარწმუნოების უარყოფით და შეურაცყოფით,სხვადასხვა რჯულის ადამიანების ჩამოსახლებით,ქართველი ერის სამშობლოდან აყრით და სხვა ქვეყანაში გადასახლებით. გამოფხიზლდით ხალხო, ამდენი მოღალატე საქართველოს არ ყოლია არცერთ საუკუნეში და ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ ხდება.ყველა ქართველს მინდა ვკითხო,რატომ ვისჯებით? ეგებ დავფიქრდეთ და მოვინანიოთ.“*

**სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის ილია მეორის** მკაცრი პოზიცია ნარკოტიკებით ვაჭრობაზე კი ასეთია: *„ჩვენ არასოდეს შევურიგდებით იმათ, ვინც ვაჭრობს ამ საშინელი საწამლავით! ისინი ხომ ამით ჭამენ პურს.*

*ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს არის სისხლიანი პური. არავის არ უნდა ჰქონდეს ასეთი პური, ასეთი პური არ უნდა შევიდეს ოჯახში, იმიტომ რომ ღვთისა და ერის წინაშე უდიდესი დანაშაულის ფასადაა იგი მოპოვებული.*

*იმედი მაქვს, რომ ბოლოსდაბოლოს ისინი გაიგებენ, თუ რას ნიშნავს ნარკოტიკებით ვაჭრობა. ეს არის საშინელი ცოდვა და ეს ცოდვა ედება არა მარტო მათ, ვინც ამას აკეთებს, არამედ მათ შვილებსა და მთელს ოჯახს..*

*საქართველოს ეკლესია არასდროს არ შეეგუება ამ საშინელებას!"*

# ოზურგეთელი ხათუნა ჯინორია აშშ-ში, მინეაპოლისის სასამართლოში



„თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ჯინორია ამჟამად აქტიურადაა ჩართული სამუშაო ვიზიტში, აშშ-ს შტატ მინესოტას, ქალაქ მინეაპოლისის, ჰენეპინის საგრაფოს სასამართლოში. ორშაბათს და სამშაბათს ის იმყოფებოდა სასამართლოში და შეხვდა სამოქალაქო საქმეებზე მომუშავე მოსამართლეებს. მას ასევე ჰქონდა სამუშაო სადილი მოსამართლეებთან, სადაც მიეცა შესაძლებლობა კითხვები დაესვა მათთვის. მოსამართლე ჯინორია იუწყება, რომ ამერიკელი მოსამართლეები ძალიან დაინტერესდნენ ქართული სასამართლო სისტემით და დასვეს ბევრი შეკითხვა.

სამშაბათს მოსამართლე ჯინორიამ გამართა პრეზენტაცია მინესოტას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტებისათვის საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ. მისივე სიტყვებით: „ეს არაჩვეულებრივი იყო! მათ მილიონი შეკითხვა ჰქონდათ ჩემთან!“...

„თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ჯინორია აგრძელებს სამუშაო ვიზიტს აშშ-ს შტატ მინესოტას ქალაქ მინეაპოლისის, ჰენეპინის საგრაფოს სასამართლოში. მან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გაატარა ერთი დღე, სადაც სასამართლოს თავმჯდომარე ფასთსა და სხვა მოსამართლეებს შეხვდა. როგორც მოსამართლე ჯინორიამ აღნიშნა, ამერიკელი მოსამართლეები საკმაოდ კარგად იცნობდნენ საქართველოს სასამართლო სისტემას და ბევრი შეკითხვა დაუსვეს. მოსამართლე ჯინორია აგრეთვე დაესწრო სასამართლო სხდომებსა და მედიაციის სესიებს. იგი ასევე შეხვდა სამოსამართლო სტანდარტების საბჭოს წევრებს, რათა მეტი ინფორმაცია მიეღო დისციპლინური წარმოების პროცედურების შესახებ მინესოტას სასამართლოებში.–წერს ფეისბუქგვერდზე **USAID-PROLoG - Promoting Rule of Law in Georgia Activity.**

ხათუნა ჯინორიამ 2002 წელს დაამთავრა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრატურა კერძო სამართლის მიმართულებით.2014 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის სპეციალობით.

2007-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროში უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე; 2008-2015 წლებში – საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწედ; 2015-2016 წლებში –საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწედ: 2016-2017 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მსმენელი; 2018 წლის 11 იანვარს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ხათუნა ჯინორია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშნა.

# სკვერის აღდგენა დაიწყეს



**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სახელმწიფო არქივის გვერდით მდებარე სკვერის აღდგენა დაიწყეს.

ზოგიერთ პატივმოყვარე მედიასაშუალებასავით ვერ ავიჩემებთ, რომ, გინდა თუ არა, სკვერში აღდგენითი სამუშაოების დაწყება მოჰყვა ჩვენი გაზეთის 3 სექტემბის ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციას **„ვინ და როდის აღადგენს სკვერს“**, მაგრამ ფაქტია, რომ არც მთლად უმაგისობაა.

როგორც მაშინ ვწერდით, ამ ქუჩაზე მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქის თქმით, ეს სკვერი შეეწირა ბოლო თვითმმართველობის არჩევნებს, რომელიც სამოქალაქო ომს კინაღამ დაემსგავსა.

ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სკვერი მალე ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებს შეუერთდება.

## ქველმოქმედება

# სასწავლო ნივთების მრავალფეროვანი პაკეტი ყოფილ პატიმართა ოჯახების შვილებს

**ალიონი.** ყოფილ, „ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახებისა და პრობაციონერების მხარდაჭერის პროგრამა“ -ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ახორციელებს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის საქმიანობები საქართველოს ოთხ რეგიონს მოიცავს: აჭარას, გურიას, იმერეთსა და სამეგრელოს და მას დემოკრატიის ინსტიტუტი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი, „აფხაზინტერკონტი“ და „თანაზიარი“ ახორციელებენ.

პროექტის მიზანია ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახის წევრების, პრობაციონერების განათლების, განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა.

სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2018 წლის 13 სექტემბერს გურიაში, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ორგანიზებით, საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა ყოფილ პატიმართა ოჯახების შვილებისათვის. ყოფილ პატიმართა 20 შვილს გადაეცა სასწავლო ნივთების მრავალფეროვანი პაკეტი, ხოლო სასწავლო ნივთების შერჩევა მათთან კონსულტაციის შედეგად ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით მოხდა.

# ოზურგეთელ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები



ლავრენტი ბიგვავა
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე



მაია ზოიძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. გურიანთა



გოჩა კილაძე
საკრებულოს აგრარულ საკით ხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე



მიხეილ გოგოტიშვილი.
საკრებულოს დეპუტატი, „ევროპული საქართველო“



გელა აროშიძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. კონჭკათი



გიორგი თოიძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. ლიხაური



გია ჩაგანავა
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



თორნიკე გოგუაძე.
საკრებულოს დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

## ოზურგეთელებმა ბაქოელები 3 : 1 დაამარცხეს!



12 სექტემბერს, სოფელ ბახვის სტადიონზე ახალგაზრდული, ამხანაგური საფეხბურთო მატჩი , ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულ საფეხბურთო და ქ. ბაქოს ოლიმპიური აკადემიის გუნდებს შორის გაიმართა.

დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლა თავდაპირველად თანაბარი უპირატესობით წარიმართა. თუმცა, მასპინძელმა გუნდამა თამაშის მსვლელობისას უპირატესობის მოპოვება - ბურთის ფლობის, შეტევისა და ტაქტიკური თვალსაზრისით შესძლო.

მატჩის პირველი ტაიმი ფრედ 1: 1 დასრულდა. უკვე მეორეტაიმში კი ოზურგეთის გუნდმა შეტევითი ფეხბურთი ითამაშა, მეტოქე არ მოასვენა და შეჯიბრი დამსახურებულად, ანგარიშით 3 : 1 მოიგო.

?ზურგეთელები და ბაქოელები ერთმანეთს უკვე მესამედ დაუპირისპირდნენ. გურულებმა თავიანთ ანგარიშზე უკვე ორი მოგება და ერთი ფრე დაიწერეს.!!

ოზურგეთის სპორტულ - გამაჯანსა-ღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულ საფეხბურთო გუნდს, **გოჩა კრასოტკინი,** რამდენიმ? წელია წარმატებით წვრთნის. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მუნიციპალიტეტს სპორტული თვალს-აზრისით არაერთი წარმატება მოუტანეს.

ოზურგეთის მუნიციპალტეტის სპო-რტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული საფეხბურთო გუნდის ახალგაზრდა ფეხბ-ურთელები ვარჯიშებს სოფელ ბახვის და ოზურგეთის სპორტის სასახლეში გადიან.

აღნიშნული სპორტული გაერთიანება ახალგაზრდებში ფეხბურთისა და ჯანსაღი ცხოვრე-ბის პოპულარიზაციის მიზნით ოზურგეთის გუნდის მხარდაჭერასა და მათ სხვადასხვა ტურნირებში ჩართვას გეგმავს.

## ჭანიეთის საბავშვო ბაღში ჭერი ჩამოინგრა

**ალიონი.** სოფელ ჭანიეთის საბავშვო ბაგა-ბაღში 13 სექტემბერს ჭერი ჩამოინგრა და 17 სექტემბერს აქ სასწავლო პროცესი არ განახლდება. ბაღის 2 ჯგუფის 54 აღსაზრდელი დროებით საზაფხულო არდადეგებს გააგრძელებს.

— ჭანიეთის ბაღში, უმცროსი ასაკის ჯგუფში, ტუალეტის ოთახში შეკიდული ჭერი ჩამოინგრა. გარდა ამისა დაბზარულია შენობის კედლები, ასასვლელში უცნაურად ამოიბურცა მეტლახი. ჩვენ ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას ოფიციალურად მივწერეთ. ასეთ სიტუაციაში საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესის განახლება შეუძლებელია. ველოდებით სპე-ციალისტების დასკვნებს. —გვთხრა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკო-ლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორმა **მაკა ჭყონიამ.**

## ახალი პარკი ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე!



ოზურგეთში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე, მრავალსართულიანი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკის მშენებლობა დაიწყო.

პროექტის ფარგლებში იგეგმება ახალი რეკრეაციული ზონის მოწყობა, მწვანე სივრცეების შექმნა, ფანჩატურის მშენებლობა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მონტაჟი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე სამუშაოებს ადგ-ილზე გაეცნო.

„ქალაქში მწვანე სივრცეების არსებობა უმნიშვნელოვანესია. ჩვენი მხრიდან ყვე-ლაფერი გაკეთდება, რომ არსებული, დაზიანებული სკვერები და პარკები აღდგეს. იქ კი, სადაც მსგავსი ინფრასტრუქტურა არ გაგვაჩნია, ჩვენი ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, ახლებს მოვაწყობთ,“—აღნიშნა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

პროექტს ოზურგეთის მუნიცი-პალიტეტის მერია და რეგიონული განვი-თარების ფონდი აფინანსებს.

სამუშაოების ჯამური ღირებულება 49 037 ლარს შეადგენს.

# ოზურგეთელ მოსწავლეებს, სტუდენტებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები და თანამშრომლები



ლევან ნინიძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. ასკანა



ალექსანდრე ღლონტი
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. მერია



თამაზ ტუღუში
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. ნატანები



დავით ჭაკნელიძე.
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.
სოფ. შრომა



გენო ჩავლეიშვილი
საკრებულოს დეპუტატი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“



ვლადიმერ ჩავლეიშვილი
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. მთისპირი



ბახვა დოლიძე
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე



ვალოდია ბერიძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი დაბა ნარუჯა



გელა ჭანუყვაძე
საკრებულოს საინფორმაციო ანალიტიკური განყოფილების უფროსი

## ქალბატონ ბაბუცა აბრამალაძეს

კიდევ ერთი წელი მიემატა შენს ცხრა ათეულს და ისევ იუბილარი ბრძანდები.

წარსულის მძიმე მოგონებები უნდა დაივიწყო, რადგან შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები კარგად გყავს. საბედნიეროდ, ყველა გიფასებს ამაგს.

დიდხანს იცოცხლე შენი ოჯახის, შინაურების, ახლობლებისა და კარის მეზობლების იმედად.

**გულსუნდა მახარაძე.**

## ქველმოქმედება ტორტით „სიკეთე გადამდებია“

**ალიონი.** დიახ, სიკეთე გადამდებია, მაგრამ სად არის ან ვინ აკეთებს ისეთ და იმდენ სიკეთეს, რომ ყველას გადაედოს და სოციალურად დაძაბუნებულ მოსახლეობას რამდენადმე მაინც შეუმსუბუქოს დუხჭირი ცხოვრება?!

სიკეთის გადამდებლობის ერთი უტყუარი ფაქტი, რომლის შესახებ ამ წერილში გვექნება საუბარი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ქალბატონი **როზა გოგუაძის** მეშვეობით დავაფიქსირეთ ოზურგეთში, კოსტავას ქუჩის № 79-ში.

ვინც ჩვენს პუბლიკაციებს ეცნობა, მისთვის უცნობი არ უნდა იყოს ეს მისამართი და არც ამ მისამართზე მცხოვრები ქალბატონი ფოთოლა არობელიძე — დამსახურებული პედაგოგი, როგორც ჩვენთან, ოზურგეთში, ისე თბილისში, სვანეთის უბანში საკუთარი ეზოების ორიგინალურად მომწყობი, მხატვარ-დეკორატორი, ვისთვისაც ადამიანი მუდმივი ზრუნვის სუბიექტია, ხოლო ქველმოქმედება — ადამიანური მოვალეობა.



მორიგი საქველმოქმედო ღონისძიება ქალბატონმა ფოთოლამ ოზურგეთში მცხოვრებ დოლიძეების ოჯახს მიუძღვნა და რვა შვილის დედა ქალბატონი ხათუნა დოლიძე, შვილებითურთ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო. ეზოში, მრგვალ მაგიდაზე განთავსებულ მომცრო ყულაბაში საქველმოქმედო თანხა ერთ-ერთმა პირველმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა კონსტანტინე შარაშენიძემ ჩაუშვა. ყულაბა მალე შეივსო და ამ გზით შეგროვებული ფული დოლიძეების უფროს დიასახლისს, რვა შვილის დედას, ქალბატონ ხათუნა დოლიძეს უკლებლივ გადაეცა.



აქვე შედგა გასართობი სათამაშო ლატარია. ბედმა „ალიონს“ გაუღიმა, რომელმაც მოგებული პრიზი — სათამაშო ასდოლარიანების ოთხი შეკვრა დოლიძეების უმცროს ვაჟს უსახსოვრა.

იმ იმედით, რომ მსგავს საქველმოქმედო ღონისძიებებს სხვებიც გამართავენ, მასპინძელი შეკრებილ საზოგადოებას გაუმასპინძლდა ხილეულით და ტორტით „სიკეთე გადამდებია“.

# ქართულ-ევროპული კონცერტი

## „ვირტუოზის სული“

## საქართველო, გურია, ნატანები



ბელა ბერკემერ-მახარაძის და უვე ბერკემერის სოლო კონცერტი - ეს იყო დაუვიწყარი და განუმეორებელი საღამო, რომელიც ჩატარდა ოზურგეთში, ნატანების კულტურის სახლში 17 აგვისტოს. ბელასა და უვეს ევროპის არც ერთ სცენაზე არ უგრძნიათ ისეთი განცდა და ვირტუოზული ოსტატობის ბრწყინვალება, როგორც ამ დარბაზში იგრძნეს, რადგან კარგად იცოდნენ, რომ მშობლიურ სცენაზე მაყურებელს უნდა მისცენ გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

ეს იგრძნობოდა კონცერტის დასაწყისშივე. ამ განცდების ქვეშ მყოფ პიანისტს, დირიჟორსა და კომპოზიტორს უვე ბერკემერს ისე ემორჩილებოდა როიალი, როგორც ვიოლინო - ინსტრუმენტის ყველა საიდუმლოებათა მფლობელს, ულამაზეს, უნიჭიერეს და ხიბლით აღსავსე ბელა ბერკემერ-მახარაძეს. ორივე ხელოვანში მთელი კონცერტის მანძილზე იგრძნობოდა გიგანტური შრომის შედეგი, რაც ამ ადამიანებს გაუწევიათ იმ სიძნელეების დასაძლევად, რომელიც მუსიკალური ინსტრუმენტის დაუფლების სფეროში არსებობს.

მაყურებელი აღფრთოვანებას, ოვაციებს ვერ ფარავდა, როცა შესრულდა პირველივე ნაწარმოები ანტონიო ვივალდის „წელიწადის ოთხი დრო“ - ზაფხული. შესრულების მანერა - შეუდარებელი, ტექნიკა - საოცარი, ელვისებური სისწრაფის, აპლოდისმენტები - ხანგრძლივი, ტაში - მქუხარე, ყვავილები - უამრავი.

კონცერტის დასასრულს შესრულდა ვიტორიო მონტის ცნობილი ნაწარმოები „ჩარდაში“.

ფინალში დარბაზი სცენასთან მონოლითურად შეიკრა ქართული ხალხური სიმღერით „სულიკო“. კონცერტი ისეთივე რიტმით დასრულდა, როგორც დაიწყო. ბელა ბერკემერ-მახარაძე დიდი სიყვარულით ეფერებოდა მონატრებულ მაყურებელს, სტუმრებს თბილისიდან, ბათუმიდან, ჭიათურიდან, საბერძნეთიდან, ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან. მადლობას უხდიდა ქალბატონ მაკა მახარაძეს, ცნობილ მსახიობს მერაბ თავაძეს, ბათუმის სიმფონიური და კამერული ორკესტრის კონცერტმეისტერს, მის უსაყვარლეს პედაგოგს თემურ შალვაშვილს, დედას ეთერ კვერღელიძეს, პიანისტს, ნატანების სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილს, რომელმაც ლომის წვლილი შეიტანა ბელას ჭეშმარიტი ხელოვნების გზაზე დაყენებაში. სცენა გაივსო მაყურებლებით, რომლებმაც უსურვეს წარმატებები მომავალში ბელა ბერკემერ-მახარაძესა და უვე ბერკემერს მომავლისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩასატარებელ კონცერტებში.

მე, როგორც საღამოს ორგანიზატორი, უღრმეს მადლობას ვუხდი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო ევროპელი სტუმრების მიღება; თანადგომისათვის და ერთსულოვნებისათვის - იმედისმომცემ და ღიმილიან ქალბატონებს ნაირა კვაჭაძეს, მარინა ჯაფარიძეს, მზევინარ სალუქვაძეს და ნინო დარჩიას, ბატონებს - ვახტანგ გობრონიძეს, გოგი ინწკირველს, მაიზერ ცელაძეს, გია მამაკაიშვილს, დათო გორდელაძეს, დათო სიხარულიძეს, უამრავ კეთილი ნების ადამიანს, რომლებმაც გაალამაზეს გამოჩენილი მუსიკოსების დაუვიწყარი საღამო „ვირტუოზის სული“.

**გულო ნიკოლაიშვილი.**

# სკანვორდი




## № 34-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ბესარიონ გაბაშვილი; დღის დასაწყისი - დილა; გეოგრაფიული რუკის გამომგონებელი - მილეტელი; ქალის სახელი - ირინე; დასახლებული პუნქტი - დაბა; ბგერის წერითი ნიშანი - ასო; ინეზა მოფერებით - ინე; შებოლილი ხორცი - ლორი; ... კუშნირი - ალა; საქებარი ლექსი - ოდა; ხორვატიული ფული - კუნა; ანბანის მე-17 ასო - რ; მძიმე ლითონი -ტყვია; გურული სიმღერა - აბადელა; მეფის თანმხლები - ამალა; მეორე რიგის წირი - პარაბოლა; მინანქარი - ემალი; საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული სახელი - გიორგი; ხილისგან დამზადებული ტკბილეული - მურაბა; ეკვადორის დედაქალაქის ოლქი - კიტო; ძვირფასი ქვა - იაგუნდი; ძაბვის ერთეული - ვოლტი; ბელგიელი მწერალი - ბეიუსე; ესპანელი ფერმწერი - გოია; აფთიაქი ოზურგეთში - ისიდორე; მამითადი - ნადი; ავადმყოფობის განვითარების პიკი - აკმე; ქალაქი რაჭაში - ონი; შანდალი - ფისოსი; დაქტილის ანტიპოდი - ღია;; დიახ - კი; ნაცია - ერი; მარსი - მარიხი; მამაკაცის სახელი - იასე; გაკვირვება - ეე; სამეფო სკიპტრა - ფაენი; ფულის გაუფასურება - ემისია; გარეთა თხელი ფენა - გარსი.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# ნასაკირალის სამკურნალო წყლები



ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა ბუნებრივ რესურსებს გასაჯანსაღებლად და სამკურნალოდ.ამ ფაქტზე მიუთითებს სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ანტიკური დროის აბაზანები.

XXI საუკუნეში, როცა ადამიანი განსაკუთრებულ სტრესულ ვითარებაში აღ-მოჩნდა—ეკოლოგიური კატასტროფები, ეთნოკომფლიქტები, ტერაქტები, ომები, ცხოვრების არანორმალური,ტემპი, დადგა განტვირთვისა და გაჯანსაღების ორიგინალური ფორმების გამოყენების დრო, სადაც ერთმანეთთან არის შერწყმული, დასვენება, რელაქსაცია, გართობა, ფიზიკური და სულიერი წონასწორობის აღგენა, ახლის შეცნობა, გაჯანსაღება, მკურნალობა და სხვა.

ამ ყველაფრის ერთდროულად განხორციელების საუკეთესო სფეროა ტურიზმი:ტურისტული თვალთახედვით საქართველო უნიკალური ქვეყანაა. აქ 700-00 კვ. კმ-ზე განლაგებულია 103 კურორტი, 340 საკურორტო ადგილი, 2000-ზე მეტი მინერალური წყარო,1300 მეტი კასტრული მღვიმე, წყალუხვი მდინარეები, ტბები ჩანჩქერები,შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები, ტყეები, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარული კავკასიონის ქედი.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს უამრავი ისტორიულ-არქიტერტურული ძეგლის არსებობაც.საქართველოში ტურიზმის განვითარება დაიწო XIX-XX საუკუნის მიჯნაზე,განსაკუთრებით გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. დაიწყო განვითარება საერთაშორისო ტურიზმა,რაც განპირობებული იყო იმ დროისათვის კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზებითა და სასტუმროებით.

„გურიის რეგიონი მდიდარია საკურორტო რესურსებით. აქ არის საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცბული (2005 წლის 22 ივლისის 655 ბრძანებულება, დანართი 1) 4 კურორტი:ბახმარო,ნაბეღლავი, ურეკი, გრიგოლეთი და 4 სამკურნალო ადგილი:გომისმთა,ნასაკირალი,სუფსა და შეკვეთილი. ეს ოთხივე საკურორტო ადგილი შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში, გარდაიქმნება და რეალურ კურორტებად გამოცხადდება.

რაც შეეხება გურიის კურორტების პროფილს, რაღა თქმა უნდა სპეციალისტების აზრით ბახმარო და გომის მთა მთის კლიმატური კურორტებია, ნაბეღლავი, ნასაკირალი და სუფსა ბალნეოლიგიური კურორტებია, ხოლო ურეკი, გრიგოლეთი და შეკვეთილი თალასოთერაპიული ანუ ზღვისპირა კურორტებია“. (პროფესორი თამარ ჩილინგარაშვილი).

ასეთი მნიშვნელოვანი საკურორტო პოტენციალიდან გამომდინარე, გურიის რეგიონს გააჩნია დიდი პერსპექტივა საკურორტო -რეკრეაციული ტურიზმის, ,ანუ სპა-ტურიზმის განვითარებისა, სათანადო ძალისხმევის შედეგად.

**ნასაკირალის სამკურნალო წყლები**

გავეცნოთ სახელწოდება ნასაკირალისა და სამკურნალო წყლების მოკლე ისტორიას: არსებობს გადმოცემა, რომ ამ ადგილებში მოიპოვებოდა კირი. აქედან წარმოსდგა სახელწოდება ნასაკირალი. ნასაკირალის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიულად ძიძიძელ მემამულე მესუ გოგელიას ეკუთნოდა, გაშენდა ნასაკირალის სამკურნალო წყლების კურორტი. გადმოცემის თანახმად, გლეხმა ნახა,რომ პირუტყვი ხარბად სვამდა მლაშე წყალს. მან წყალი გასასინჯად მიუტანა დვაბზუელ მღვდელს მჟავანაძეს,რომელმაც, რომელმაც წყალი შესაფასებლად გააგზავნა ოდესის ლაბორატორიაში. კურორტის მოწყობა 1927-29 წლებში დაიწყო.1933 წლიდან დაიწყო ნასაკირალის, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტის განვითარება. 1952 წლისათვის ნასაკირალში 2500 კაცი მკურნალობდა.1950-იან წლებში აშენდა 40 ადგილიანი სასტუმრო. მოგვიანებით 100 პაციენტზე გათვლილი სანატორიუმის ტიპის დაწესებულება და მწვანეში ჩაფლული კოტეჯები,რომელიც დამსვენებელს ვერ იტევდა. 1970 წლისათვის კურორტი წელიწადში 3200 დამსვენებელს იღებდა. ტერიტორიაზე ჭაბურღილების საშუალებით ათვისებული სამი წერტილი იყო, საიდანაც წყალი მოედინებოდა, თითოეულს სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება ჰქონდა:ორი აბაზანებისთვის იყო განკუთვნილი, ერთი -სასმელად.

კურორტოლოგიაში სპა-კურორტი გულისხმობს სამკურნალო მინერალურ წყალზე დაფუძნებულ კურორტს,სადაც ძირითადი სამკურნალო ფაქტორი წყალია. თვით სპა -ლათინური აბრევიატურაა და ქართულად ნიშნავს ჯანმრთელობა წყლის საშუალებით.ეს აბრევიატურა მოდის ძველი რომაელებისაგან,სადაც ძალინ პოპულარული იყო, ისე როგორც საქართველოში ბალნეო თერაპია ანუ წყლით მკურნალობა.დღესდღეისობით სპა თანამედროვე ტერმინად იქცა და იხმარება ფართო გაგებით,როგორც მკურნალობა არა მარტო წყლით, არამედ ბუნებრივი საშუალებით.

ნასაკირალი სპა კურორტია. მისი მეცნიერული დახასიათება ასეთია:

ადმინისტრაციული მდებაეობა— ოზურგეთი;

გეოგრაფიული მდებარეობა —კოლხეთის დაბლობის ქვემო წელი;

სიმაღლე ზღვის დონიდან 200მ ეტრი.რელიეფი -ვაკე;

კლიმატი—სუბტროპიკული,ზამთარი თბილი,უთოვლო,იანვრის საშუალო ტემპერატურა 4,3 გრადუსი.ზაფხული ძალიან თბილი და ტენიანი.აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 21,8 გრადუსი.ნალექების წლიური რაოდენობა 1880მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 75%.მზის ნათების ხანგრძლიობა წელიწადში 1800-1900 საათი.

ფლორა-ციტრუსებისა და ხეხილის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები:სუსტად სულფიდური, ქლორიდულნატრიუმიანი,მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3,8-7,8 გ/დმ.კუბ.მკურნალობის სახეობები:მინერალური წყლის აბაზანები და მიღება(დალევა).

სამკურნალო ჩვენებები:აბაზანების სახით: მოძრაობის ორგანოთა, პერიფერიული, ნერვიული სისტემის ანთებითი ხასიათის ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებები .

დასალევად წყალს იყენებენ კუჭნაწლავის ანთებითი ხასიათის დაავდების დროს,უმეტესად კუჭის წვენის მჟავიანობის დროს.

წლების მანძილზე ნასაკირალის სამკურნალო წყლებით მკურნალობდა ოზურგეთის მოსახლეობა. ახლა უკვე აღარ.ამის შესახებ გაზეთი ‚უხუცესთა მაცნეში“( 2017 წლის აპრილი) გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი გურამ ცერცვაძე წერდა :„თავის დროზე ძალიან მნიშვნელოვანი და ცნობილი კურორტი იყო ნასაკირალი, მაგრამ დღეს სამი მილია დარჩენილი,ორიდან 60 გრადუსიანი მინერალური წყალი გამოდის,ერთიდან კი ტალახი.ოთხი ჰექტარი ფართობია, შესანიშნავი ადგილია და შეიძლება აქ არაჩვეულებრივი საკურორტო ზონა და დასასვენებელი სახლი გაკეთდეს-აბაზანებით,სამკურნალო წყლით,რაც კარგი შემოსავლის წყარო იქნება ზამთარ-ზაფხულს, რაიონისათვის, ქვეყნისთვის. იმედია, რეგიონის ხელმძღვანელობა გამონახავს გზებსა და საშუალებებს მის ასაღორძინებლად, ნასაკირალი საკურორტო ნუსხაში ჯერ ისევ არის შეტანილი და იმედია, არ დაიკარგება.“

ნასაკირალის სამკურალო წყლების დანიშნულებას აღწერს ამ კურორტის მთავარი ექიმი, აწ განსვენებული ბატონი გრიგოლ მახარაძე, გაზეთ „ლენინის დროშის“ ერთ-ერთ ნომერში. მაშინ მოგეხსენებათ რაიონში მხოლოდ ერი გაზეთი იყო და იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო. შინაარსი კი შემდეგ გახლავთ:“20 ივნისიდან ნასაკირალის სამკურნალო წყალზე სეზონი იხსნება, სამკურნალო წყლები მდებარეობს ქ. მახარაძის ჩრდილო აღმოსავლეთით 12 კილომეტრის დაშორებით.მას გარს ავლია გორაკები,რომელიც დაფარულია ფოთლოვანი ტყით,ამ ტყის მთელი ტერიტორია ნაკრძალად ითვლება.

კურორტს მთელ სიგრძეზე ჩამოუდის მდინარე სუფსა თავისი გაშლილი ხეობით, ეს კი ხელს უწყობს იმს,რომ კურორტზე ყოველთვის იყოს სუფთა და გრილი ჰავა, რის გამო იგი ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებლად ითვლება.კურორტზე არსებობს ორი სახის მინერალური წყალი: სამკურნალო-დასალევი და სამკუნალო - სააბაზანო.

დაკვირვებამ გვიჩვენა,რომ, დასალევი სამკურნალო წყალი დადებითად მოქმედებს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და საშარდე ორგანოების დაავადებაზე. სამკურნალო-სააბაზანო წყალს,მისი მიღება დადებითად მოქმედებს მთელ რიგ დაავადებებზე.ავადმყოფებს ყოველდღიურად ენიშნებათ ერთ აბაზანაწყლის ტემპერატურა 35-36-37 გრადუსი,ხანგრძლივობა 5-15 წუთია, აბაზანების კურსი განისაზღვრება 15 პოცედურით.ერთი კურსის ჩატარების შემდეგ მკურნალობობის განმეორება შეიძლება 4-5თვის შემდეგ. კურორტზე აბაზანების სარგებლობისას შემოღებულია საგზურები,რომელსაც ყიდის დირექცია, როგორც წინასწარ ისე კურორზე ავადმყოფების გამოცხადების დროს.ავადმყოფა საგზურის შეძენისას მკურნალი ექიმის მიერ შევსებული უნდა ჰქონდეს საკურორტო რუკა. რამდენადაც მახსოვს ნასაკირალში სპეციალურად დადიოდა ავტობუსი ნასაკირალი-ოზურგეთი, სადაც მოქალაქეები მიიღებდნენ აბაზანას და ისევ უკან ბრუნდებოდნენ. მახსოვს დედაჩემი და ჩემი მეზობლები თბილი შალებით მომზადებულები მიდიოდნენ.

1965 წლიდან ნასაკირალის სამკურალო წყლების დირეტორად დანიშნეს ბატონი ვლადიმერ(ლადო)გოგუაძე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,რომელიც მუშაობდა 90-იანი წლების დასაწყისამდე. სამწუხარო 90 წლების დასაწყისსი, როცა აირია ყველაფერი,შეწყდა დაფინანსება, თანამშრომლებს ხელფას ვერ აძლევდნენ,და თანდათანობით განადგურდა ყველაფერი.ქალბატონი ციალა ლასხიშვილი ბუღალტერი იგონებს:— „ძალიან ლამაზი იყო იქაურობა, კოტეჯები, მთავარი კორპუსი, ავეჯი, თეთრეული, მაცივრები, სამზარეულოს სერვიურა,ყველაფერი წაიღეს ,მოიპარეს. ყველაზე ძალიან დამენანა ფიზიოკაბინეტის განადგურება,ამ კაბინეტის ექთანმა სთხოვა ბატონ ლადოს ამ ზამთარში სახლში წავიღებო,მაგრამ ლადო ექიმმა უთხრა:— არ შეიძლება ბიძია მაგის სახლში წაღებაო. ის კი არა და ცეცხლგამძლე კარადა,რომელშიაც დოკუმენტები მქონდა ,რომ ვერ გაელოთ, მდინარე სუფსაში გადაეგდოთ.“



სამწუხაროდ ასეთი ბედი ერგო ერთდროს ძალიან ცნობილ ნასაკირალის სამკურნალო წყლებს და არა მარტო ამ კურორტს, არამედ ბევრ საკურორტო ადგილს გურიაში.

ახლა საშური საქმეა რეაბილიტაცია ჩაუტარდეს გურიის მოსახლობისათვის საჭირო და ხელმისაწვდომ კურორტს. იმედია ჩვენი ხელისუფლება და შესაბამისი სპეციალისტები გულთან ახლოს მიიტანებენ ამ საკითხს.

**მანანა ლომაძე,**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

## მოხეტიალე ძაღლები - ქრონიკული აქტუალური თემა

**ალიონი.** ჭკვიანია ძაღლი, სადაც საჭმლის სუნს აიღებს, იქვე მოკალათდება და ისეთი სევდიანი თვალებით შემოგხედავს, გაწყრომა კი არა, დასანაყრებლად აღებულ ლობიანს თუ ხაჭაპურს დაუყონებლივ უწილადებ.

ამ ოთხფეხა ვაჟბატონს რომ ხედავთ, მაწანწალა არ გეგონოთ, იგი ჩვენი ქალაქის პეტრიწის ქუჩის ბინადარია და აქ მდებარე სახაჭაპურის კლიენტურის ნაწყალობებით გააქვს თავი. დროდადრო სახაჭაპურის ტერიტორიაზე ჩავლილ მოქალაქეებს თუ დააფრთხობს, მხოლოდ და მხოლოდ



ეს არის მისი დანაშაული.

ისე სირცხვილი კია, რომ ჩვენს ქალაქში მოხეტიალე ძაღლების პრობლემა ამდენი ხნის განმავლობაში არ ჩამოდიოდეს აქტუალური თემების თაროდან.

### სულთათანა

## ზაირა გოგუაძე

იგი თითქმის ნახევარი საუკუნე შემოქმედის საჯარო სკოლაში მო-ღვაწეობდა 1961 წლიდან 2007 წლამდე. 46 წელი შეალია პედაგოგიურ მოღვაწეობას და სოფლის მრავალი თაობა აღზარდა სიყვარულითა და რუდუნებით. გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის პი-რნათლად ასრულებდა. ამიტომაც მიღებული აქვს მრავალი მადლობა და ჯილდო. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სკოლის პროფკავშირულ ორგანიზაციას და ცდილობდა მაღლა დაეყენებინა კო-ლეგების დამსახურება თუ პრობლემები.

ქალბატონი ზაიარა ზალიან ყურადღებიანი იყო მეგობრებისა და ახლობლების მიმართ. ყოველთვის პირველი იზიარებდა სხვების სიხარულს და ცდილობდა სითბო, სიყვარული და



ყურადღება ყველასათვის თანაბრად გაენაწილებინა.

ზაირა გოგუაძე მუდამ ემახსოვრებათ კოლეგებსა და მეგობრებს.

**შემოქმედის საჯარო სკოლა**

**სპმთპ-ის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს თანამშრომელს, მაყვალა ჯინჭარაძეს შვილისა და შვილიშვილის **გოჩა და ალიკა ჯინჭარაძეების** გარდაცვალების გამო.



ყველა მოსწავლეს, სტუდენტს, პედაგოგს და მშობელს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

პირველკლასელებო, თქვენ ახალ სამყაროში შეაბიჯებთ, მშვიდობიანი სასწავლო წელი გქონოდეთ. მნიშვნელოვანი დღეა პირველკურსელებისთვისაც, თქვენ იწყებთ მნიშვნელოვან ეტაპს ცხოვრებაში, გისურვებთ ახალ მიღწევებს, განვითარებას, გამარჯვებებს და თქვენი მშობლების იმედები.

**გიორგი ღურჯუმელიძე.**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ღ



ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ მოსწავლეებს და პედაგოგებს, სტუდენტებს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს.

განათლებული მომავალი თაობა არის ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარი.

გისურვებთ, მიგეღოთ საუკეთესო ცოდნა და გქონოდეთ ცხოვრების ულამაზესი წლები.

**მარი ჩხიკვიშვილი.**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე

ღ



ახალი სასწავლო წლის დასაწყისი მუდმივად არის წლის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ახლავს მასწავლებლის ენერგიის მობილიზება, მოსწავლის განწყობა - მიიღოს განათლება, მშობლის მოლოდინი – რომ მეტი საფუძველი შეუქმნას მომავალ თაობას. დიდი სიყვარულით ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას ოზურგეთელ პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

**ვასილ ჩიგოგიძე.**
ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საკრებულოს დეპუტატი

ღ



ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ მოსწავლეებს, სტუდენტებს და მათ მშობლებს.

დღევანდელი დღე არის ცოდნისა და გამოცდილების შეძენის დასაწყისი.

მჯერა, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეულ თქვენთაგანისათვის წარმატებული იქნება.

**გია მამაკაიშვილი.**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

ღ

# შენ არავის, სულ არავის ჰგავხარ!..



ოზურგეთის სამუსიკო სკოლის წლის შემაჯამებელ საჩვენებელ კონცერტს დავესწარი. გამოვიდნენ ბავშვები ფორტეფიანოს, ვიოლინოს, ფოლკლორული, საგუნდო მუსიკის ჯგუფებიდან.

კონცერტი თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, როცა დარბაზში შემოვიდა ტანმორჩილი, ლამაზი, სანდომიანი სახის ყმაწვილი. დამსწრეთ მიესალმა, სცენაზე ავიდა, ცხელოდა ძალიან, შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ხელი კლავიშებსაც გადაავლო. არ ჩქარობდა. მსმენელი გაირინდა და მცირე პაუზის შემდეგ შოპენის უკვდავი ჰანგები ააჟღერა (ბალადა №1, 23 სოლო მინორი).

გენიალურ გია ყანჩელს აქვს ნათქვამი - „იცით რა მახარებს და მსიამოვნებს ყველაზე მეტად, როცა ორკესტრი დაასრულებს ჩემი ნაწარმოების დაკვრას, არ მინდა მსმენელმა უპასუხოს სწრაფი ოვაციით და შეძახილით, არამედ სიჩუმით, სიჩუმით, თუნდაც ეს სიჩუმე რამდენიმე წამს გაგრძელდეს...“

დაახლოებით ამგვარი მოხდა, როცა ყმაწვილმა ნაწარმოების დაკვრა დაასრულა, სიჩუმიდან ოვაციის ფონზე სცენიდან ჩამოვიდა, აღმზრდელი პედაგოგი იზა სიხარულიძე გადაკოცნა და დარბაზი დატოვა.

- ვინ არის ეს ბიჭი? ფიზიკურად თითქოს ნაცნობი იერი აქვს.

- ეს დათო ცხომელიძის და ქეთინო ზაქარიაძის შვილია — გიორგი ცხომელიძე.

აი, თურმე რატომ მეცნო ასე, იგი ძალიან ჰგავს მამას.

ე. ი. აწ განსვენებული (ღმერთმა ნათელში ამყოფოს) ნერონი ზაქარიაძის - თავის დროზე ოზურგეთის საამაყო თავკაცის, ყველა სამსახურებრივ პოსტზე გამორჩეული კაცის უმცროსი შვილიშვილი.

გიორგიმ წელს დაამთავრა ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა მედალზე. ოზურგეთის სამუსიკო სკოლის სავალდებულო 6 წელი ოთხ წელიწადში დახურა. მისი საშემსრულებლო ტექნიკით დაინტერესდა ელისო ბოლქვაძე. წარჩინებით დაასრულა ერთიანი ეროვნული გამოცდები, მიიღო 100%-იანი დაფინანსება და გახდა ტექნიკური უნივერსიტეტის ავტოსაინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი. ალბათ, სარკინიგზო ტრანსპორტს აირჩევს...

საყურადღებო ის არის, რომ როცა ასეთი მონაცემების ახალგაზრდების მშობლები დაჟინებით ირჩევენ იურიდიულს, საერთაშორისო ურთიერთობებს, მედიცინის და ბიზნესის მიმართულებებს, გიორგი ამ არჩევანშიც თავისთავადი და მიზნობრივია. იგი მრავალმხრივი ნიჭით დახუნძლული ბიჭია, საოცრად ხატავს... საუბარშიც თავის ასაკზე მაღლა დგას.

- მინდა ჩემი თაობა იყოს სამართლიანი, უზომო სიყვარულით აღვსილი, პირობის დამცველი, ნიჭიერი...

- ფრედერიკ შოპენი არის ჩემი საყვარელი კომპოზიტორი.

- მხატვრებიდან კი გამოვარჩევ კლოდ მონეს.

- პოეზია არ მიზიდავს, მაგრამ მურმან ლებანიძის ერთი ლექსი თითქოს არ გასვენებს, გზადაგზა მოგყვება და გაფრთხილებს...

„შორიდან სალმით შენს ხელმწიფეს
დასდევი ფასი
— კაცია ისიც —
მაგრამ მაინც ქვეითად გასწი!
არ შეგეშალოს, არ გაბრიყვდე,
არ იყო ბავშვი —
არამც და არამც არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში“...

რა კარგი ხარ, გიორგი, რა სუფთა, გულწრფელი, ძალიან საყვარელი, შენ არავის, სულ არავის ჰგავხარ!..

**ოლიკო კობალავა-ჩხაიძე**


## შპს „როიალ გაზი" გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!




რ



## ოზურგეთის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთ თეატრი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

რ

## სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

რ


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| თარიღი | ამინდი | ტემპერატურა |
|---|---|---|
| 17 სექტემბერი, ორშაბათი | მზე, ღრუბელი | +12+20 |
| 18 სექტემბერი, სამშაბათი | მზე, ღრუბელი | +13+21 |
| 19 სექტემბერი, ოთხშაბათი | მზე, ღრუბელი | +12+21 |
| 20 სექტემბერი, ხუთშაბათი | მზე, ღრუბელი | +11+22 |
| 21 სექტემბერი, პარასკევი | მცირე წვიმა | +13+19 |
| 22 სექტემბერი, შაბათი | მზე, ღრუბელი | +14+19 |
| 23 სექტემბერი, კვირა | ღრუბელი | +14+23 |